საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-407

13/05/2020

ქ. თბილისი

ქ. ფოთში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე შპს „სდტ ჯორჯიას“ ალუმინის და თუთიის შენადნობებისგან (ფერადი ლითონების დნობა) ავტომანქანის მექანიკური კომპონენტების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-4 პუნქტის 4.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. ფოთში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე შპს „სდტ ჯორჯიას“ ალუმინის და თუთიის შენადნობებისგან (ფერადი ლითონების დნობა) ავტომანქანის მექანიკური კომპონენტების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №41 (08.05.2020);
2. შპს „სდტ ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №41 (08.05.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სდტ ჯორჯიას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სდტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი